პრეტენდენტის ინსტრუქცია

1. პრეტენდენტის ინსტრუქცია წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს.
2. პრეტენდენტი თავის თავზე იღებს საკუთარი განაცხადის მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.
3. შპს „ლუკოილ ჯორჯია“ (შემდგომში „ დამკვეთი“) არ არის პასუხისმგებელი და არ იღებს პასუხისმგებლობას იმ ხარჯებზე, რომელიც მითითებულია მე–2 პუნქტში ტენდერის ჩატარების ფორმის და მისი შედეგების მიუხედავად.
4. ტენდერის ორგანიზატორი (კომპანიის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც პასუხს აგებს სატენდერო პროცედურების ტექნიკურ მომზადებასა და ჩატარებაზე) პრეტენდენტს წარუდგენს წინამდებარე ინსტრუქციას და სხვა სატენდერო დოკუმენტაციას, რასაც მოითხოვს სატენდერო წინადადების მომზადება დამკვეთის მოთხოვნების და პირობების შესაბამისად, მოცემულს სატენდერო დოკუმენტაციაში.
5. ტენდერის ორგანიზატორი ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ პრეტენდენტი ვალდებულია შეისწავლოს ამ მიზნით მისთვის წარდგენილ სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული პირობები და მოთხოვნები. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება სრულად უნდა შეესაბამებოდეს ზემოხსენებულ მოთხოვნებს. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება, თუ იგი არ პასუხობს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, არ დაიშვება ტენდერზე წინადადებების ტექნიკურ– ეკონომიკური ნაწილის შემცველი კონვერტების გახსნის შემდეგაც კი.
6. ტენდერის ორგანიზატორს, მათ შორის, დამკვეთის ინიციატივით, სატენდერო წინადადების წარდგენის ვადამდე შეუძლია შეიტანოს ცვლილებები სატენდერო დოკუმენტაციაში, სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადის გახანგრძლივებისას, ყველა პრეტენდენტის შესაბამისი წერილობითი შეტყობინებით.
7. დამკვეთს (მათ შორის ორგანიზატორის და ინიციატორი–ქვედანაყოფის სახით) და პრეტენდენტს აუცილებელი ოფიციალური ურთიერთობა შეუძლიათ განახორციელონ ფაქსით ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით თავიანთი მიმართვების შემდგომი აუცილებელი წერილობითი დადასტურებით სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ვადების ფარგლებში.
8. დამკვეთი წყვეტს ურთიერთობებს პრეტენდენტებთან და/ან ტენდერის გამარჯვებულთან მისთვის ყოველგვარი შედეგების გარეშე იმ შემთხვევაში, თუ მათი სატენდერო წინადადების მოქმედების მანძილზე დადგინდება, რომ მითითებული სუბიექტები:

    - შედიან პირთა ჯგუფში, რომლებიც ბოროტად იყენებენ მათ დომინანტურ პოზიციას ბაზარზე;
    - არიან გადახდისუუნარონი, ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის პროცესში ან გამოცხადებული არიან გაკოტრებულად ან თუ მათ ქონებაზე ყადაღაა დადებული;
    - აქვთ პრეტენზია კომპანიისადმი, გამოთქმული ზეპირად ან წერილობით (ელექტრონული ფორმითაც აქ და შემდგომში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული), აწარმოებენ ეკონომიკურ დავას ან სამართალწარმოებას კომპანიის წინააღმდეგ;
    - არიან დაკავშირებული (დაქვემდებარებული) კომპანიის თანამშრომლებთან;
    - პირდაპირ ან არაპირდაპირ სთავაზობენ, მისცეს ან თანხმდებიან, მისცენ სატენდერო ორგანიზატორის ან დამკვეთის თანამშრომელს, სატენდერო კომიტეტის წევრს ანაზღაურება ნებისმიერი ფორმით (მატერიალური ან არამატერიალური), რათა გავლენა მოახდინოს სატენდერო პროცედურის ჩატარებაზე, გადაწყვეტილების მიღებაზე ან ჩასატარებელ ტენდერთან

დაკავშირებულ სხვა მოქმედებაზე;

- თუ მათი დამფუძნებელი/დირექტორი არის (იყო) სხვა საქმიანი სუბიექტის დამფუძნებელი/დირექტორი, რომელმაც დაუშვა ვალდებულებების დარღვევა სახელმწიფო/მუნიციპალური ხელშეკრულების განხორციელებისას, რასაც მოჰყვა მისი ჩართვა არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრში, ასევე კონტრაქტის შესრულებისას, რომელიც დადებულია „ლუკოილის“ ჯგუფთან;
- დაუშვა რომელიმე შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევა, რომელიც დაიდო ადრე "ლუკოილის" ჯგუფსა და ნებისმიერ კომპანიას შორის; ამასთანავე, ასეთი დარღვევები დადასტურებული უნდა იქნას სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მიღებულს "ლუკოილის" ჯგუფის ორგანიზაციის სასარგებლოდ;
- არ შეესაბამებიან კომპანიის მოთხოვნებს სუ–ს (საწარმოო უსაფრთხოების), შდ–ს (შრომის დაცვის) და გდ–ს (გარემოს დაცვის) სფეროებში.

9. წარმოდგენილი სატენდერო წინადადება მისი განხილვის შემდეგ პრეტენდენტს უკან არ უბრუნდება. პრეტენდენტი იღებს ვალდებულებას, რომ დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ ინფორმაციას მოეკიდოს, როგორც კონფიდენციალურს და არ გაუმხილოს იგი რომელიმე მესამე მხარეს.
10. ტენდერის ორგანიზატორი იღებს ვალდებულებას, დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელსაც შეიცავს პრეტენდენტის სატენდერო წინადადება. ტენდერის საკითხებთან დაკავშირებული მიმოწერაც ითვლება კონფიდენციალურად.
11. პრეტენდენტის სატენდერო წინადადების, აგრეთვე სატენდერო საკითხებზე მიმოწერის ენაა ქართული და რუსული. საბუთების სხვა უცხო ენაზე წარდგენის შემთხვევაში აპლიკანტებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ამ დოკუმენტების თარგმანი ქართულად.
12. დამკვეთს უფლება აქვს:

- ტენდერზე არ დაუშვას მიღებული სატენდერო წინადადებიდან ნებისმიერი მათგანი, თუ იგი არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- ნებისმიერ სტადიაზე გააუქმოს ტენდერი მისი გამარჯვებულის არჩევის შემთხვევაშიც კი, თუმცა ეს უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადების მომენტამდე;
- პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებაში გაცხადებული მონაცემების შემოწმების მიზნით განახორციელოს აუცილებელი მიმართვები შესაბამის სახელმწიფო და სხვა ორგანოებისადმი თუ ორგანიზაციებისადმი, დაათვალიეროს პრეტენდენტის საწარმოები, დაწესებულებები და საწარმოო ობიექტები;
- არ მოახდინოს პრეტენდენტების წინაშე ტენდერთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მოტივირება;

13. ტენდერში მონაწილეობის შესახებ საკუთარი სურვილის და ტენდერის საგანთან დაკავშირებით დამკვეთის მოთხოვნების შესრულებისთვის არსებული შესაძლებლობების დოკუმენტურად დადასტურების მიზნით პრეტენდენტმა სატენდერო დოკუმენტაციაში უნდა წარმოადგინოს თავისი ტექნიკური პოტენციალის, აუცილებელი კვალიფიკაციის, ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის მტკიცებულებები. ეს მტკიცებულებები მოიცავს აპლიკანტის მიერ წარდგენილ დოკუმენტებს და ინფორმაციას ქაღალდზე და ელექტრონულ მედიაზე (მოთხოვნები ელექტრონული მედიისთვის: ცალკე ფაილის არსებობა წარმოდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალით; დოკუმენტების დასკანირებული ასლები უნდა იყოს წარმოდგენილი არა ერთ ფაილში, არამედ ცალკე ფაილების სახით თითოეული წარმოდგენილი დოკუმენტისთვის; სახელწოდების ფაილი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი დოკუმენტის სახელს). მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრული ნაკრების არარსებობის შემთხვევაში

(ინსტრუქციის მე-14 პუნქტი), ტენდერის ორგანიზატორს სატენდერო კომიტეტის გადაწყვეტილებით შეუძლია პრეტენდენტის მოხსნა ტენდერში შემდგომი მონაწილეობისგან.

14. სატენდერო წინადადების დოკუმენტაციის მოთხოვნილი სია:

14.1. „განაცხადი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად“ ფორმაში დანართი No1-ის მიხედვით. ტენდერში მონაწილეობის შესახებ განაცხადს პრეტენდენტი უგზავნის ტენდერის ორგანიზატორს მიმდინარე ტენდერში მონაწილეობის შესახებ განცხადებაში მითითებული წესით და ვადაში. ტენდერში მონაწილეობის შესახებ წარმოდგენილი განაცხადის არარსებობის შემთხვევაში, პრეტენდენტის სატენდერო წინადადება არ მიიღება განსახილველად;

14.2. „განმცხადებლის საკვალიფიკაციო კითხვარი სამრეწველო უსაფრთხოების, შრომის დაცვისა და გარემოს მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ“ დანართ No2-ის მიხედვით (თუ არსებობს დამკვეთის მოთხოვნები). საკვალიფიკაციო კითხვარს პრეტენდენტი ტენდერში მონაწილეობის შესახებ განცხადებასთან ერთად ტენდერში მონაწილეობის შესახებ განცხადებაში განსაზღვრული წესით და ვადაში უგზავნის ტენდერის ორგანიზატორს. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო კითხვარის არარსებობის შემთხვევაში, პრეტენდენტის სატენდერო წინადადება არ მიიღება განსახილველად.

14.3. **„სატენდერო წინადადების სატიტულო ფურცელი“** დანართი No3-ის მიხედვით. სატიტულო ფურცელი, რომელშიც მითითებულია სატენდერო წინადადების ფასი, პრეტენდენტის მიერ ჩაიდება **კონვერტში კომერციული წინადადებით** წინამდებარე ინსტრუქციებში მითითებული წესით;

14.4. კომპანიის რეკვიზიტები:
- კომპანიის სრული დასახელება;
- იურიდიული მისამართი;
- ფაქტიური მისამართი
- ტელეფონი, ფაქტი, ელ. ფოსტა;
- საკონტაქტო პირი;
- საბანკო რეკვიზიტები;
- მონაცემები ხელმძღვანელი პირების შესახებ;

14.5. განმცხადებლის კომპანიის შემდეგი დოკუმენტები (საქართველოს არარეზიდენტის შემთხვევაში, ნოტარიულად დამოწმებული (როგორც არსებითი, ასევე ხელმოწერების)):

- ამონაწერი (მიმდინარე) კომერციული(სამეწარმეო) რეესტრიდან პრეტენდენტის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის პროცესის წარმოების არარსებობის შესახებ;
- ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ (მის მიმართ არ უნდა იყოს აღიძრული გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმის წარმოება, არ უნდა ედოს ყადაღა, არ უნდა ქონდეს შეჩერებული ეკონომიკური საქმიანობა);
- **მინდობილობა ამ ტენდერში მონაწილეობის შესახებ, კომპანიის სახელით ხელმოწერისა და მოქმედების უფლებამოსილების მითითებითა და დელეგირებით.**
- საქართველოს არარეზიდენტის შემთხვევაში, შემადგენელი დოკუმენტების და რეგისტრაციის მოწმობების ნოტარიულად დამოწმებული ასლები (წესდება, ამონაწერი კომერციული იურიდიული პირების რეესტრიდან და ა.შ.).
- ბუღალტრული (ფინანსური) ანგარიშგება (ბალანსი, ფინანსური შედეგების ანგარიშგება) წინა წლის და გასული საანგარიშგებო პერიოდის, სათანადოდ დამოწმებული;
- ცნობა გადასახადებისა და სავალდებულო გადასახდელების გადახდისას დავალიანების არარსებობის შესახებ (საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდებში გადახდების შესახებ შედარების აქტი).

14.6. სატენდერო ფასის გაანგარიშება უნდა იყოს ტექნიკური დავალების მოთხოვნების შესაბამისობაში, **აღჭურვილობის მწარმოებლის, მისი მახასიათებლების, სერტიფიკატებისა და სრული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ჩვენებით**. გაანგარიშება და **„სატიტულო ფურცელი“** ამ ფასის მითითებით განმცხადებლის მიერ უნდა ჩაიდოს **კონვერტში კომერციული შეთავაზებით** ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესით.

- სახელშეკრულბო ფასი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია დამკვეთის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასთან.
- პოტენციურმა კონტრაქტორმა უნდა გაითვალისწინოს დამატებითი სამუშაოს შესაძლო საჭიროება;
- კომერციული წინადადების ღირებულება მითითებული უნდა იყოს ქართულ ლარში დღგ-ს გარეშე;

14.7. ცნობა ბოლო 12 თვის განმავლობაში დადებული მსგავსი ხასიათისა და სირთულის კონტრაქტების შესახებ მითითებული ფორმით:

1.	ხელშეკრულების ნომერი ხელშეკრულების დასახელება ქვეყანა
2.	შემკვეთის დასახელება
3.	შემკვეთის მისამართი
4.	სამუშაოების ხასიათი და ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები
5.	როლი ხელშეკრულებაში (აღნიშნეთ ერთერთი ორი პუნქტიდან) - ერთადერთი კონტრაქტორი - ქვეკონტრაქტორი
6.	ხელშეკრულების საერთო ღირებულება (კონკრეტულ ვალუტაში)
7.	ექვივალენტი აშშ დოლარებში
8.	ხელშეკრულების დადების თარიღი
9.	ელშეკრულების დასრულების თარიღი
10.	ხელშეკრულების ხანგრძლივობა
11.	განსაკუთრებული მოთხოვნები

<u>მოვითხოვთ პრეტენდენტის განსაკუთრებულ ურადღებას!</u>

15. ტენდერის გამოცხადებისას საჯარო ვაჭრობის ჩატარების მიზნით, პრეტენდენტი ვალდებულია პირადად ან საკუთარი უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობის ჩატარების პროცედურაში. ვაჭრობის პროცედურებში მონაწილეობის შეუძლებლობის გამო, თუკი პრეტენდენტის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნული არ არის რომ წარმოდგენილი წინადადების კომერციული ფასი საბოლოოა, სატენდერო წინადადება არ ღებულობს მონაწილეობას შემდგომ სატენდერიო პროცედურებში. **ამასთან, პრეტენდენტს ან მის წარმომადგენელს თან უნდა ჰქონდეს „სატენდერო შეთავაზების სატიტულო ფურცელი“ (დანართი No 3) შედგენილი ამ ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად და გაფორმებული სათანადო წესით, მაგრამ №2 სტრიქონის „ჩვენი სატენდერო შეთავაზების ფასი“ და №3 „ხელშეკრულების შესრულების ვადები“ ასევე "სატენდერო წინადადების სატიტულო ფურცლის" თარიღის შევსების გარეშე.** აუქციონის შედეგების მიხედვით პრეტენდენტი ან მისი წარმომადგენელი საკუთარი ხელით ავსებს „ტენდერის შეთავაზების სატიტულო ფურცელის“ მითითებულ სტრიქონებს და თარიღს და გადასცემს აუქციონის განმახორციელებელ პირს.

16. სატენდერო წინადადების მომზადების მოთხოვნები და მისი მიწოდება.

16.1. სატენდერო წინადადება უნდა მომზადდეს და მიეწოდოს ტენდერის ორგანიზატორს წინამდებარე

ინსტრუქციის მოთხოვნების და პირობების შესაბამისად. სატენდერო წინადადებაში არითმეტიკული შეცდომების ან ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც არ ცვლის წინადადების არსს, ტენდერის ორგანიზატორი დღე–ღამის განმავლობაში ატყობინებს პრეტენდენტს ამის შესახებ და ადგენს ვადას დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის მოსაყვანად. ტენდერის ორგანიზატორის მოთხოვნებზე უარის თქმა ან მისი დაგვიანებული შესრულება საფუძველია სატენდერო წინადადების განუხილველად დატოვების. ტენდერის ორგანიზატორი არ ღებულობს სატენდერო წინადადებებს განსახილველად, თუ ისინი არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

16.2. სატენდერო წინადადებას ხელი უნდა მოაწეროს პრეტენდენტი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ან მისმა უფლებამოსილმა პირმა. **სატენდერო წინადადების დოკუმენტაციის ყველა გვერდი უნდა იქნას ვიზირებული მასზე ხელმომწერი პირის მიერ.**

<u>მოვითხოვთ პრეტენდენტის განსაკუთრებულ ურადღებას!</u>

16.3. სატენდერო წინადადების თითოეული ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად: „დედანი“ და „ასლი“. სატენდერო წინადადება მიიღება 3 დალუქულ კონვერტში: გარე და 2 შიდა. გარე კონვერტი უნდა შეიცავდეს: 2 (ორი) შიდა კონვერტს, განცხადება ტენდერში მონაწილეობის მისაღებად და რეესტრი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხით. შიდა კონვერტები უნდა შეიცავდეს:

- **ერთ კონვერტში (ტექნიკური ნაწილი) - სატენდერო წინადადების ტექნიკური ნაწილი** ორ კონვერტში: „ორიგინალი და ასლი“
- **მეორე კონვერტში (კომერციულ ნაწილში) – სატენდერო წინადადების კომერციული ნაწილი და „ტენდერის წინადადების სატიტულო ფურცელი“** ორ კონვერტში: „ორიგინალი“ და „ასლი“.

ტექნიკური ნაწილი - პრეტენდენტის მიერ მომზადებული დოკუმენტები დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად, **წინამდებარე ინსტრუქციის ჩათვლით,** გარდა სატენდერო შეთავაზების ფასის შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტებისა.

კომერციული ნაწილი - პრეტენდენტის მიერ მომხმარებელთა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული დოკუმენტები, მათ შორის წინამდებარე ინსტრუქცია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სატენდერო შეთავაზების ფასის შესახებ.

ორივე 2 კონვერტი ფორმდება საფოსტო გზავნილის მოთხოვნების შესაბამისად.

16.3.1. გარე კონვერტს უნდა ჰქონდეს დამატებითი წარწერა - "სატენდერო წინადადება" (ტენდერში მონაწილეობის მოწვევის ვერსიაში ტენდერის ობიექტისა და საგნის მითითებით).

16.3.2. შიდა კონვერტებში უნდა იყოს დამატებითი წარწერები:

- ერთ კონვერტზე – **„სატენდერო წინადადების ტექნიკური ნაწილი“** (ტენდერში მონაწილეობის შესახებ, ტენდერის ობიექტის და საგნის მითითებით);
- მეორე კონვერტზე **–„სატენდერო წინადადების კომერციული ნაწილი“** (ტენდერში მონაწილეობის შესახებ, ტენდერის ობიექტის და საგნის მითითებით).

16.3.3. ორივე შიდა კონვერტზე ასევე მითითებული უნდა იყოს: პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი, ფაქსი და ელ–ფოსტა. შიდა კონვერტები აუცილებლად უნდა იყოს დალუქული პრეტენდენტის ბეჭდით ისე, რომ გამოირიცხოს მისი გახსნის შესაძლებლობა ბეჭდის დაზიანების გარეშე. კონვერტებში მოთავსებული დოკუმენტები არ მიიღება განსახილველად, თუ ისინი მომზადებულია წინამდებარე პუნქტის მოთხოვნების დარღვევით!

16.3.4. გარე კონვერტზე წარწერის დიზაინის მაგალითი:

მისამართი, ტელეფონი

სატენდერო წინადადება

_____ „ტენდერის დასახელება“

მიმღები ორგანიზაცია
მისამართი: საქართველო, თბილისი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, N11, ტელ.: +995 (32) 238-99-92.

ამ პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით კონვერტებში წარმოდგენილი დოკუმენტები განსახილველად არ მიიღება!

16.4. სატენდერო წინადადების ასლების საჭირო რაოდენობა მითითებულია დამკვეთის მიერ ტენდერში მონაწილეობის მოწვევაში. სატენდერო წინადადების თითოეული ეგზემპლარი ფორმდება ამ ინსტრუქციის 16.1. 16.3. პუნქტების შესაბამისად.

16.5. პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას მინდობილობით უფლებამოსილი წარმომადგენელი გადასცემს ტენდერის ორგანიზატორს. კორესპონდენციის მიმღები პუნქტის თანამშრომელი, რომელმაც მიიღო სატენდერო წინადადება, აკეთებს მიღება-ჩანაწერს ზედნადებში (ან რეესტრში, ან სატენდერო წინადადების სატიტულო ფურცლის ასლში და ა.შ.), თუ კურიერი ან ტენდერის წინადადების მომწოდებელს ექნება ასეთი.

16.6. მიღებული სატენდერო წინადადება ექვემდებარება რეგისტრაციას და ინახება ტენდერის ორგანიზატორთან.

16.7. ტენდერის ორგანიზატორი პრეტენდენტებისთვის ადგენს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას - არანაკლებ 90 კალენდარული დღის ოდენობით, ტენდერის ჩატარების დღიდან. ტენდერში მონაწილეობა დაუშვებელია უფრო მოკლე ვადის შემცველი სატენდერო წინადადებები.

16.8. სატენდერო წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადად ითვლება დღე, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადებაში. მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შემოსული სატენდერო წინადადებები არ მიიღება და გაუხსნელად უბრუნდება პრეტენდენტებს.

16.9. ტენდერში გამარჯვებული უფლებამოსილია, დამკვეთთან დადოს ხელშეკრულება საკუთარი სატენდერო წინადადების და დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შესრულებისას აღმოჩნდება, რომ ტენდერში გამარჯვებულის სატენდერო წინადადებაში ამა თუ იმ მიზეზებით დაფიქსირდა დამკვეთის სატენდერო მოთხოვნებთან შეუსაბამობა, მაშინ დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაცია წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების განმსაზღვრელ (პრიორიტეტულ) პირობებს.

16.10. პრეტენდენტის მხრიდან ხელშეკრულების პროექტის ნებისმიერი პირობა არ ექვემდებარება ცვლილებას. დამკვეთს უფლება აქვს, არ გადახედოს სატენდერო წინადადებას სატენდერო დოკუმენტაციასთან მისი შეუსაბამობის მიზეზით.

16.11. ტენდერში გამარჯვებულად ცნობის შეტყობინების მიღების შემდეგ პრეტენდენტი ვალდებულია არაუმეტეს 20 კალენდარული დღის ვადაში ხელი მოაწეროს მისთვის მიწოდებულ ხელშეკრულების პროექტს შეტყობინებასთან ერთად (ასლების საჭირო რაოდენობით) და დაუბრუნოს მომხმარებელს.

შენიშვნა: თუ სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავს მოთხოვნას, რომ ტენდერში გამარჯვებულმა უზრუნველყოს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ფინანსური უზრუნველყოფა

უპირობო საბანკო გარანტიის სახით, მითითებული საბანკო გარანტია ეგზავნება მომხმარებელს ხელმოწერილ ხელშეკრულების პროექტთან ერთად.

16.11.1.გამომდინარე იქიდან, რომ ტენდერში გამარჯვებულის შერჩევა ხდება ყველა პრეტენდენტის სატენდერო წინადადებების შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ერთ-ერთი პრეტენდენტის მიერ ვაჭრობაზე გამოცხადებული ყველაზე დაბალი ფასი არ წარმოადგენს ტენდერის შედეგების წინასწარ განსაზღვრულ ფაქტორს.

16.11.2.ტენდერის შედეგად დადებული ხელშეკრულების შესრულებისას წარმოშობილი დავები/უთანხმოება მხარეებს შორის წყდება ხელშეკრულების პირობების/საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად.

16.12. პრეტენდენტის მიერ ტენდერის ორგანიზატორისთვის წინადადებების გადაცემა ნიშნავს წინამდებარე ინსტრუქციის ყველა დებულებაზე თანხმობას.

სატენდერო პროცედურები:

- სატენდერო წინადადებების შესაბამისი ნიმუშების მიღების/წარმოდგენის, მონაწილეობაზე განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2023 წლის 14 დეკემბერი 17:00 საათი, ზემოთ მითითებულ მისამართზე. განაცხადთან ერთად აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული საკვალიფიკაციო კითხვარი.

- ტენდერის კომერციული ნაწილი - ვაჭრობა გაიმართება 2023 წლის 18 დეკემბრის 15:00 საათზე, ზემოთ მითითებულ მისამართზე.

- სატენდერო წინადადებების კონვერტების გახსნის პროცესში რეგისტრირებული აპლიკანტების წარმომადგენლების მონაწილეობა სავალდებულოა.

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორებები განხორციელდება კონტრაქტორის ანგარიშზე საბანკო გადარიცხვით.

- სატენდერო წინადადებები ძალაში უნდა იყოს ტენდერის ვაჭრობის დღიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში.

- სატენდერო წინადადებები წარმოადგინეთ ქართულ ან რუსულ ენებზე.

- ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულება დაიდება ტენდერის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

- ტენდერში გამარჯვებულმა საქონელი, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, უნდა მიაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, თარიღი _____